

ქართულ-ფრანგული და ქართულ გერმანული სამაგისტრო პროგრამები

„ასეთი ტიპის პროგრამა, საქართველოში, პირველად ტარდება. რობაქიძის უნივერსიტეტის სტუდენტებს საუკეთესო საშუალება მიეცემათ ისწავლონ საფრანგეთის ადმინისტრირების უმაღლეს სკოლასა და სორბონის უნივერსიტეტში. ეს ქართველი სტუდენტებისთვის დიდი შანსია, რადგან ორივე უნივერსიტეტი საყოველთაოდ ცნობილია. ისინი ღრმა ცოდნას აძლევენ მომავალ ლიდერებს და კარგ ხელმძღვანელებად და მმართველებად აყალიბებენ - აქ უამრავი ჩვენი ლიდერი აღიზარდა...“

საფრანგეთის სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში რენო სალენსი

ქართულ-ფრანგული ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა გლობალური მმართველობა და პოლიტიკა/სართაშორისო ურთიერთობები შეიქმნა ფრანგ პარტნიორებთან ერთად და ხორციელდება ორ ეტაპად: პირველ წელს სწავლა მიმდინარეობს გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტში, ხოლო მეორე წელს - საფრანგეთში.

სწავლის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული მიიღებს **საფრანგეთის ადმინისტრირების ეროვნული სკოლის (ENA) და სორბონის უნივერსიტეტის ან ლილის უნივერსიტეტის დიპლომსა და აკადემიურ ხარისხს** გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის აკადემიურ ხარისხსა და დიპლომთან ერთად.

ქართულ-გერმანული პროგრამა გლობალური მმართველობა და პოლიტიკა, იგივე სქემით ხორციელდება **პოტსდამის უნივერსიტეტთან** ერთად. პროგრამის დასრულების შემდეგ, ასევე, გაიცემა ორი უნივერსიტეტის დიპლომი და მაგისტრის აკადემიური ხარისხი. ევროპაში სწავლასთან ერთად, სტუდენტები გაივლიან სტაჟირებას ევროკავშირის სხვადასხვა სტრუქტურაში.

გერმანიაში, ისე როგორც საფრანგეთში, სწავლა ინგლისურ ენაზეა.

აღსანიშნავია, რომ ეს არის ერთადერთი პროექტი აღმოსავლეთ ევროპაში, რომელსაც განახორციელებს, საფრანგეთის ადმინისტრირების ეროვნული უმაღლესი სკოლა (ENA) და სორბონის უნივერსიტეტი (PARIS-1).

ორივე პროგრამა, თავისი სტანდარტით, **დასაქმების შესაძლებლობას იძლევა, არამხოლოდ საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთ.**

პროგრამაზე დაშვება შესაძლებელია როგორც **A ტესტის** ჩაბარების შემდეგ, ისე **სამართლის პროგრამაზე** ჩარიცხული სტუდენტებისთვის. ამ შემთხვევაში კურსდამთავრებულს შეუძლია მიიღოს საფრანგეთის პარტნიორი უნივერსიტეტის აკადემიური ხარისხი და დიპლომი **გლობალურ მმართველობასა და პოლიტიკაში/საერთაშორისო ურთიერთობებში** და გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის **სამართლის აკადემიური ხარისხი და დიპლომი.**

სწავლის საზღაური: ქართულ-ფრანგულ პროგრამაზე, სორბონის უნივერსიტეტის შემთხვევაში, წელიწადში 11 000 ევროს ექვივალენტი ეროვნული ვალუტით, ხოლო ლილის უნივერსიტეტის შემთხვევაში 7500 ევროს ექვივალენტი, ასევეა ქართულ-გერმანულ პროგრამაზე 7500 ევროს ექვივალენტი ეროვნული ვალუტით.

იმ შემთხვევაში თუ სტუდენტი, საკუთარი სურვილით, არ განაგრძობს სწავლას გერმანიაში -

სწავლის საფასური განისაზღვრება 1800 ევროს ექვივალენტით ეროვნული ვალუტით, ამასთან, მას მიენიჭება გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის მაგისტრის აკადემიურ ხარისხი და გადაეცემა ქართულ-გერმანული ერთობლივი პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომი.